მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

ალმასი

B2

ზღვრული
განვითარებული დონე

თინათინ კილურაძე
ეკატერინე ქუთათელაძე

აღმართი B1

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის აღწერილი შემსწავლელის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული აქტივობების (დავალებებისა და სავარჯიშოების, პროექტების) მიზნები.აქტივობების ნუმერაცია მისდევს შემსწავლელის წიგნის ნუმერაციას. სამუშაო რვეულის დავალებების მიზნები საჭიროების მიხედვით არის მოცემული შემსწავლელის წიგნის დავალებებთან ერთად სინქრონული თანამიმდევრობით.
მოსმენისა და კითხვის ტიპებიდან სხვადასხვა აქტივობაში გათვალისწინებულია ვარჯიში გაგების 3 ტიპზე: გლობალური გაგება, სელექციური (შერჩევითი) გაგება და დეტალური გაგება(ტერმინთა განმარტებისთვის იხ. მეთოდური სახელმძღვანელო, თეორიული კურსი, თავი 2, გვ. 15).

მასწავლებლის წიგნზე მუშაობდნენ:

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი
დამკაბადონებელი — ტატიანა საბანაძე

მასწავლებლის წიგნზე მუშაობაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაჟიორები: ანა როსტომაშვილი, თამთა ასანიძე და ნათია უღრელიძე
სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამის ფარგლებში.
პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

მასწავლებლის წიგნი

ISBN

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, “ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამა, 2016

თავი I

ადამიანები და მათი ცხოვრება

ბლოკი 1

პირადი ცხოვრება

1. დავალების მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია. დავალების შესრულებისას შემსწავლელი გაიხსენებს როგორც ლექსიკურ ერთეულებს, აგრეთვე თემასთან დაკავშირებულ ფრაზებს.
2. დავალების მიზანია, ტექსტის გლობალურ-სელექციური გაგება. დავალების შესრულებისას, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი მთლიანად, რათა შეძლოს იმის გაგება, კმაყოფილია, თუ არა ავტორი თავისი ცხოვრებით და შემდეგ უნდა მიუთითოს კონკრეტული სტრიქონების ნომრები. ტექსტის სელექციურ გაგებას ემსახურება რვეულის პირველი ბლოკის პირველი და მეორე დავალებებიც.
3. დავალების მიზანია დღიურის, როგორც ტექსტის სახეობის მახასიათებლების გამოკვეთა.
4. დავალების მიზანია, შემსწავლელმა კიდევ ერთხელ გადაიკითხოს ტექსტი და გამოკვეთოს ის ძირითადი თემები, რომლებზეც ავტორი საუბრობს.
5. დავალების მიზანია, პირველ რიგში, შემსწავლელმა გააცნობიეროს, რას ნიშნავს: უპირატესობა და ნაკლი. შემდეგ კი, ტექსტში შეძლოს იმის მოძებნა, რასაც ავტორი სახლში მუშაობის უპირატესობად და ნაკლად მიიჩნევს.
6. დასაკავშირებელი ტიპის დავალება, რომელიც მიზნად ისახავს, შემსწავლემა მოახდინოს დიფერენცირება, ვის რომელი ფრაზა ეკუთვნის ტექსტის მიხედვით. მისი მიზანია, აგრეთვე შემდეგი დავალებისთვის შემზადება. ტექსტზე მუშაობას შემსწავლელი რვეულშიც აგრძელებს. სამუშაო რვეულის მესამე დავალების მიზანია, შემსწავლელმა ტექსტის მიხედვით აღმოაჩინოს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები და ფრაზები. დავალებაში არის ფრაზები, რომლებიც შემსწავლელს ხელს შეუწყობს, კონტექსტის მიხედვი მიხვდეს სიტყვების მნიშველობას.
7. დავალების მიზანია, შემსწავლელი დააკვირდეს მეექვსე დავალებაში მოცემულ წინადადებებს და შემდეგ თავად შეავსოს წესი. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაუმახვილოს, რომ ირიბი ნათქვამის ნიშნად, ზმნას ბოლოში ემატება "ო". ხოლო, როდესაც წინადადებაში გამოყენებულია "რომ" კავშირი, მაშინ "ო" არ არის საჭირო.
8. მერვე დავალება მიზნად ისახავს წინა დავალებაში განმარტებული წესის განმტკიცებას. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის მეოთხე დავალებაც.

9. სამუშაო რვეულის მეხუთე დავალება ბლოკის ფინალური დავალებაა და უმჯობესია, თუ შემსწავლელს საშინაო დავალებად მიეცემა. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი განუმარტავს შემსწავლელს, რომ მას დავალების დაწერაში დაეხმარება ბლოკში ნასწავლი სიტყვები / ფრაზები.

ბლოკი 2

რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში

1. **ა.** აქტივობის მიზანია (შემსწავლელის წიგნი), შემსწავლელები შეამზადოს წასაკითხი ტექსტისთვის. შემსწავლელები მუშაობენ წყვილებში და შემდეგ აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს ჯგუფის წინაშე მოცემული სქემის მიხედვით. **ბ.** აქტივობაც ამზადებს შემსწავლელს შემდგომი ტექსტისათვის. კერძოდ, შემსწავლელები გადახედავენ მოცემულ ტექსტს და ადარებენ, რამდენი პუნქტი დაემთხვა თავიანთი ჩამონათვალიდან ტექსტის ჩამონათვალს.

   შემსწავლელის რვეულის **1**-ლი აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია. მოცემულ სიტყვებს შემსწავლელები აჯგუფებენ კატეგორიების მიხედვით.

2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სხვადასხვა სტერეოტიპთან დაკავშირებული წასაკითხი ტექსტის გლობალური გაგება. კერძოდ, შემსწავლელი კითხულობს მოცემულ ტექსტს და ფოტოებს მიუწერს შესაბამისი აბზაცის ნომერს.

   შემსწავლელის რვეულის მე-**2** აქტივობის მიზანია სტერეოტიპების შესახებ წასაკითხი ტექსტის დეტალური გაგება. შემსწავლელები კიდევ ერთხელ გადახედავენ ტექსტს და მოცემულ სიტყვებს შეუსაბამებენ სწორ მნიშვნელობებს.

3. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს ტექსტის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელები კითხულობენ ტექსტს სტერეოტიპების შესახებ და ფრაზებს უწერენ შესაბამისი აბზაცის ნომერს.

   შემსწავლელის რვეულის მე-**3** აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება.

4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს ტექსტი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი / არასწორი პასუხები.
5. აქტივობის მიზანია ტექსტის დეტალური გაგება, კერძოდ, შემსწავლელები მუშაობენ წყვილებში, სვამენ შეკითხვებს ტექსტის პარაგრაფებისა და **1**-ელ დავალებაში ჩამოთვლილი შეხედულებების მიხედვით. შემდეგ ცვლიან მეწყვილეებს და ახალ მეწყვილეებს უსვამენ თავიანთ შეკითხვებს, პასუხებს ინიშნავენ.
6. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს მეწყვილის პასუხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება.

ბლოკი 3

რა არის ბედნიერება

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელი შეამზადოს თემისთვის და გაუაქტიუროს წინარე ცოდნა. შემსწავლელები მოიფიქრებენ და ტექსტის დახმარებით დაწერენ ბედნიერების განმარტებას.
2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები უსმენენ ჩანაწერს და ირჩევენ სწორ პასუხებს.
3. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

   დეტალურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის პირველ და მეორე აქტივობებში.

   რვეულის მესამე აქტივობის მიზანია ლექსიკაზე ვარჯიში, შემსწავლელები განმარტავენ მოცემულ ფრაზებს.
4. **ა.** და **ბ.** აქტივობების მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში, ხაზგასმულ სიტყვებზე დაკვირვებით მაწარმოებლების იდენტიფიცერება.
5. **ა.** აქტივობის მიზანია შემსწავლელებმა ივარჯიშონ ლექსიკაზე და მაგალითების დახმარებით სახელზმნებს მიუწერონ პარალელური ფორმები. **გ.** აქტივობის მიზანია წინა აქტივობებში მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით შეძლონ გრამატიკული წესის ფორმულირება.

   მოცემულ გრამატიკულ ფენომენზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მეოთხე და მეხუთე აქტივობებში.

ბლოკი 4

თაობები და ღირებულებები

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება. შემსწავლელები გაიაქტიურებენ ბლოკისთვის საჭირო ლექსიკურ ერთეულებს.
2. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელი ეცნობა ტექსტს და ურჩევს სათაურს. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება, შემსწავლელის რვეულის პირველ სავარჯიშოში.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი ისევ გადაიკითხავს ტექსტს და ჩამოთვლილ ვარიანტებს შეუსაბამებს ცხრილს. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულის მე-2 და მე-3 სავარჯიშოებში.
4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. მოცემულია საკითხები ტექსტის მიხედვით. შემსწავლელმა უნდა აღნიშნოს სწორი ვარიანტები. შემსწავლელის რვეულის ამავე დავალებაში ვითარდება მოსმენის უნარ-ჩვევა. შემსწავლელი უსმენს დიალოგს და მოცემულ პასუხებს უკავშრებს შესაბამის ვარიანტს.

5. ჯგუფური, შემაჯამებელი აქტივობა. შემსწავლელები ჩამოწერენ მიზეზებს, რომლებიც განაპირობებს თაობებს შორის აზრთა სხვადასხვაობას. ეს აქტივობა ბლოკის ერთგვარი შეჯამებაა. შემსწავლელები ტექსტის დახმარებით ჩამოწერენ მიზეზებს, ასევე შესაძლებლობა აქვთ დაამატონ იდეები საკუთარი მოსაზრების მიხედვით.

თავი II

ოჯახი

ბლოკი 1

მშობლები და შვილები

1. აქტივობის მიზანია შეამზადოს შემსწავლილი თემაზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია, რომ შემსწაველმა გამოთქვას თავისი აზრი არსებულ საკითხთან დაკავშირებით და აუცილებლად გამოიყენოს ფრაზები, რომლებიც, სავარაუდოდ, უნდა იცოდეს, თუმცა მაინც მეორდება.
2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა დამოუკიდებლად შეძლოს აზრის გამოხატვა თემის ირგვლივ. აქაც ყურადღება უნდა გამახვილდეს აზრის გამოსათქმელ ფრაზებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება. იმის შემდეგ, რაც შემსწავლელი იტყვის, თუ რა პრობლემები აქვთ შვილებს მშობლებთან. კარგი იქნება, თუ შემსწავლელი შეასრულებს რვეულის პირველი ბლოკის პირველ დავალებას, რომელშიც უკვე ჩამოთვლის იდეალური მშობლის კრიტერიუმებს.
3. **ა.** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სალიტარატურო ენით დაწერილი ფრაზის ძირითადი აზრის გაგება და გააზრება.

   ბ. აქტივობის მიზნია, შემსწავლელმა შეძლოს შედარება თავის აზრსა და თოქ-შოუში მოსმენილ ინფორმაციას შორის.

   აზრის გაგებასა და გააზრებასთანაა დაკავშირებული რვეულის მეორე დავალებაც, რომელიც შესაძლებელია შესრულდეს წიგნის მესამე დავალების შემდეგ.
4. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. ჯგუფური მუშაობის დროს შემსწავლელები შეაჯერებენ თავიანთ მოსაზრებებს გამონათქვამთან დაკავშირებით.

   ამ დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ჯგუფში გამოთქმული აზრის შედარება ვიდეოჩანაწერში გამოთქმულ მოსაზრებასთან.

   რვეულის მესამე და მეოთხე დავალებები შესაძლებელია შემსწაველმა საშიანო დავალებად შეასრულოს, რადგან ვიდეო საკმაოდ დიდია და ამ დავალებებისთვის კი შემსწავლელს მისი ბოლომდე ნახვა მოუწვს. დავალებების მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება და აზრის არგუმენტირებულად გამოთქმა.
5. **ა.** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოსაზრებების ჩამოწერა ორივე მხრისთვის. მან უნდა ჩამოაყალიბოს ის, თუ რა სურთ მშობლებს შვილებისგან და შვილებს მშობლებისგან.

   ბ. აქტივობის მიზანია, შეავსონ თავიანთი მოსაზრებები ჩანაწერში მოცმეული მოსაზრებებით (ჩანაწერში მხოლოდ ისაა, მოცემული, თუ რა სურთ მშობლებს).

6. აქტივობა ბლოკის ფინალური დავალებაა. მიღებული ცოდნის საფუძველზე შემსწავლელმა უნდა ჩამოაყალიბოს იდეალური მშობლისთვის საჭირო თვისებები. ამ დავალებას შემსწავლელები ჯგუფურად აკეთებენ.

   რვეულის პირველი ბლოკის მეხუთე დავალება კი, საშინაო დავალებად უნდა შეასრულონ. იმავე შინაარსისაა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.

ბლოკი 2

ოჯახის განმარტება

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი შეამზადოს მეორე დავალებისთვის და მიიყვანოს სიტყვა ოჯახის განმარტებამდე. შემსწავლელი რგოლების მიხედვით, თვითონ შეძლებს ამ განმარტების სქემით გამოხატვას.
2. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. პირველ დავალებაში მოცემული სქემის მიხედვით შემსწავლელმა სიტყვიერად ჩაწეროს ის, რაც სქემაში აქვს მოცემული.
3. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელმა თვალი უნდა გადაავლოს განმარტებებს და იპოვოს ის განმარტება, რომელიც უფრო ახლოსაა თავის დაწერილთან. ასევე მისი მიზანია, შემსწავლელს გააცნოს სიტყვის განმარტება, როგორც ტექსტის სახეობა.
4. ა. აქტივობის მიზანია კვლავ კითხვის უნარ-ჩვევაზე მუშაობა. შემსწავლელმა უნდა იპოვოს შესაბამისი ფრაზები და მიუსადაგოს ერთმანეთს. კითხვის უნარ-ჩვევაზე მუშაობა გრძელდება რვეულის მეორე ბლოკის 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 დავალებებში.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ბლოკში მოცემული დავალებების შემდეგ შეძლოს თემასთან დაკავშირებული ტერმინების მისადაგება განმარტებებთან.

   რვეულის მეხუთე დავალება ბლოკის ფინალური დავალებაა. შემსწავლელმა თვითონ უნდა შეძლოს ლექსიკონზე მუშაობა და განმარტებების მოძიება.

ბლოკი 3

ოჯახის განვითარების ეტაპები

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელის თემისთვის შემზადება. შემსწავლელები იმუშავებენ მცირე ჯგუფებში და ჩამოწერენ ოჯახის ძირითად მახასიათებლებს.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.
3. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ამ უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის პირველ, მეორე და მესამე აქტივობებში.

4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები იმუშავებენ წყვილებში და დასმულ კითხვაზე მოძებნიან ტექსტში პასუხს.
5. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ, შემსწავლელი თითოეულს მიუსადაგებს სათაურს. სატაურები მოცემულია სავარჯიშოშივე.
6. აქტივობის მიზანია მოცემული კავშირების იდენტიფიცირება და შესაბამისი კავშირის გამოყენება წინადადებებში.
7. რვეულის მეოთხე და მეხუთე აქტივობების მიზანია ლექსიკაზე ვარჯიში. შემსწავლელი ლექსიკონის დახმარებით განმარტავს სიტყვათშეთანხმებებს.
8. რვეულის მეექვსე აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს ტექსტი და მოცემული წინადადებებიდან აღნიშნოს სწორი/არასწორი პასუხები.
9. რვეულის მეშვიდე აქტივობის მიზანია სელექციური კითხვისა და წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

ბლოკი 4

ადრეული ქორწინება

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელების თემისთვის შემზადება. შემსწავლელები წაიკითხავენ მოცემულ ტექსტს და გაიგებენ პრობლემას.
2. აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია. შემსწავლელები იმუშავებენ ჯგუფურად და შეავსებენ მოცემულ ცხრილს. აქტივობა ასევე ითვალისწინებს ლექსიკაზე ვარჯიშს.
3. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.
4. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ამასთანავე, აქტივობა მიზნად ისახავს ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიშს. შემსწავლელებმა უნდა შეძლონ ვიდეოჩანაწერში მოსმენილ თემაბზე საუბარი.
5. ეს არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა, რომელზეც შემსწავლელები იმუშავებენ ჯგუფურად და მოამზადებენ პრეზენტაციას.
6. რვეულის პირველი აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ მოცემულ ტექსტს და ამავდროულად იმსჯელებენ და დაასაბუთებენ თავიანთ აზრს.
7. რვეულის მეორე და მესამე აქტივობებში შემსწავლელები საქართველოს კანონმდებლობას შეადარებენ სხვა ქვეყნის კანონმდებლობას. ეს აქტივობა დამოუკიდებლად შესრულდება შემსწავლელის მიერ საშინაო დავალების სახით.

8. **რვეულის მეოთხე და მეხუთე აქტივობების მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა არგუმენტირებულად უნდა შეძლოს თავისი აზრის დაწერა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.**

თავი III

პრესა

ბლოკი 1

ქართული მედია

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება. შემსწავლელები იმუშავებენ სხვადასხვა რუბრიკაზე, გაეცნობიან და ამავდროულად ივარჯიშებენ ლექსიკაზე. შემსწავლელის რვეულის პირველ აქტივობაში ასევე გაეცნობიან სხვადასხვა მედიაპორტალს და აირჩევენ ერთ-ერთს, დაასაბუთებენ აზრს არჩევანთან დაკავშირებით.
2. მეორე აქტივობაში შემსწავლელები პარალელს გაავლებენ ნანახ მედიაპორტალებსა და მათ მშობლიურ მედიაპორტალებს შორის. გაეცნობიან რუბრიკებს.
3. აქტივობის მიზანია, მოსმენის უნარ-ჩვევის დახმარებით შემსწავლელმა მოისმინოს და მოახდინოს ერთ-ერთი რუბრიკის იდენტიფიცირება.
4. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ამასთან ერთად, შემსწავლელმა, მოსმენის პარალელურად, უნდა შეძლოს გაგონილი ამბის ჩამოწერა პუნქტების სახით. სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში არის რვეულის მეორე აქტივობაშიც.
5. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოუსმენენ ჩანაწერს კიდევ ერთხელ და მოცემულ ფრაზებს დააკავშირებენ იმ ადამიანებთან, რომლებსაც ეკუთვნით ეს ფრაზები. დეტალურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მესამე და მეოთხე აქტივობებში, აგრეთვე შემსწავლელები იმუშავებენ ლექსიკაზე. რვეულის მე-5 აქტივობა შემსწავლელს ეხმარება შესაბამისი გრამატიკული მასალია ათვისებაში.
6. აქტივობის მიზანია ლექსიკაზე ვარჯიში და ასევე ერთ-ერთი გრამატიკული ფენომენის გაგება / დამუშავება.

ბლოკი 2

საინფორმაციო ტექსტები

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი შეამზადოს ახალი თემისათვის. კერძოდ, ამ აქტივობით შემსწავლელები ეცნობიან რუბრიკის სახეობებს.
2. **ა.** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოცემული ტექსტების სელექციური გაგება. შემსწავლელმა უნდა გადახედოს სამივე ტექსტს და გამოკვეთოს მათი მთავარი აზრი. **ბ.** აქტივობაში კი შემსწავლელი პოულობს თითოეული ტექსტის შესაბამის რუბრიკას.

3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოცემული ტექსტის დეტალური გაგება და ტექსტიდან მთავარი და მეორეხარისხოვანი აზრების გამოყოფა. აქტივობა სრულდება წყვილებში.
4. აქტივობი მიზანია, შემსწალელმა შეძლოს ტექსტის სელექციური გაგება და ტექსტის მიხედვით მონაცემთა რუკის შევსება. მასში არის შესამზადებელი მასალა მომდევნო აქტივობისთვის.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მე-2 აქტივობაში მოცემული ტექსტების დეტალური გაგება, ტექსტების დამუშავება და ინფორმაციის რუკების შედგენა. ამის შემდეგ კარგი იქნება, თუ რვეულის პირველ აქტივობას მივცემთ საშინაო დავალებად.
6. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს პრესისა და ყოველდღიური / სასაუბრო ენით დაწერილი ტექსტების დეტალური გაგება და მათ შორის განსხვავებების (არსებითი სახელები, ზმნები) პოვნა.
7. მუშაობა გრძელდება რვეულის მე-2 აქტივობიდან. ამ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოცემული ტექსტების სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა წაიკითხოს მოცემული ტექსტები და წერილობით გამოთქვას საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ სად შეიძლება შეგვხვდეს ეს ტექსტები.
8. რვეულის მე-3 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ტექსტების დეტალური გაგება. შემსწავლელმა უნდა წაიკითხოს ტექსტები კიდევ ერთხელ და ამოწეროს, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.
9. რვეულის მე-4 აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელს უკვე შეუძლია პრესის ენასა და სასაუბრო ენას შორის განსხვავებების პოვნა. ამ აქტივობაში კი მან უნდა გაიხსენოს ერთი რომელიმე ამბავი, ამ ამბავზე შეადგინოს ინფორმაციის რუკა, დაწეროს სტატია პრესისათვის და იგივე ამბავი მეგობრებისათვის სოციალურ ქსელში გასაზიარებლად.
10. რვეულის მე-5 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მე-2 აქტივობაში მოცემული ტექსტების დეტალური გაგება. შემსწავლელმა უნდა გაიგოს, რომელ წყაროს ეყრდნობა ეს ტექსტები, რომელი ზმნები გამოიყენება ამ ტექსტებში და რატომ გამოიყენება თურმეობითი მეგობრისთვის მოყოლილ ამბავში.
11. რვეულის მე-6 **ა.** აქტივობაში შემსწავლელმა უნდა შეძლოს ახალ ტექსტზე ინფორმაციის რუკის შედგენა. **ბ.** აქტივობაში შემსწავლელმა უნდა შეადგინოს ამ ამბის ოფიციალური ვარიანტი გაზეთისათვის.

ბლოკი 3

ყვითელი პრესა

1. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი სამუშაო ბლოკისათვის. შემსწავლელები გამოთქვამენ ვარაუდებს წერილობით, შემდეგ კი, მათი მოსაზრებები შეჯამდება ფორუმში.
2. აქტივობის მიზანია, სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება და ლექსიკაზე მუშაობა. ამ დავალების შესრულების შემდეგ სასურველია, შესრულდეს სამუშაო რვეულის მესამე ბლოკის პირველი დავალება. მოსასმენი დავალების შემდეგ შემსწავლელები იმავე თემატიკის ტექსტზე განაგრძობენ მუშაობას. სამუშაო რვეულის პირველი და მეორე დავალებები გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის განსავითარებელია.
3. მესამე აქტვობა დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევას ავითარებს. შესაძლებელია მისი მიცემა საშინაო დავალებად. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის კი, სამუშო რვეულის მესამე დავალებაა. შესაძლებელია, დროის დაზოგვის მიზნით, ეს დავალებაც ენის შემსწავლელებს სახლში მოსამზადებლად მიეცეთ.
4. წიგნის მეოთხე დავალებაზე სასურველია, შემსწავლელებმა იმუშაონ წყვილებში და ჰკითხონ ერთმანეთს მოსაზრებები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ დროს ისინი ვარჯიშობენ კითხვის დასმის ტექნიკაზეც და ემზადებიან შემდეგი დავალების შესასრულებლად.

   რვეულის მეოთხე დავალების მიზანია ტექსტისთვის კიდევ ერთხელ თვალის გადავლება და მისი პერიფრაზირება. შესაძლოა, ის საშინაო დავალებად მიეცეთ შემსწავლელებს, შემდეგ კი, გამოვლინდეს საუკეთესო პერიფრაზი.
5. აქტივობის მიზანია, შეაჯამოს მთლიანი ბლოკი, ამ დროს ყურადღება მახვილდება დავალებაში გამოყენებულ ლექსიკაზე. შეჯამების შემდეგ მასწავლებელმა, შემსწავლელთა ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დამატებითი მასალა დაამუშაოს იმ თემაზე, რომელიც გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტად რეიტინგული იქნება.

ბლოკი 4

ჟურნალისტური ეთიკა

1. აქტივობის მიზანია შეამზადოს შემსწავლელი თემაზე სამუშაოდ. აქტივობა შემსწავლელს მსჯელობისა და ანალიზის უნარის გამომუშავებაში ეხმარება. წიგნის პირველი დავალება უნდა შესრულდეს ფორუმში. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სამუშაო რვეულის პირველი აქტივობის შესრულება. შემდეგ კი, რვეულის მეორე აქტივობა, რომლის მიზანიცაა, რვეულის პირველ აქტივობაში მოცემული ტექსტის გლობალური გააზრება.

2. აქტივობის მიზანია შემსწავლელს გამოუმუშავოს ვარაუდის გამოთქმის უნარი. ეს დავალება ერთგვარად შესამზადებელიცაა შემდეგი დავალებისთვის. შემსწავლელი ჯერ თვითონ გამოთქვამს ვარაუდს, მისი აზრით, რისი გაკეთება შეუძლია ჟურნალისტს და რისი არა, შემდეგ დავალებაში კი შედარების საშუალება ექნება.
3. **ა.** აქტივობის მიზანია, შემსწავლელს გამოუმუშაოს ტექსტთან მუშაობის უნარი. მისი მიზანია, შემსწაველმა შეძლოს მოცემული ტექსტის თავისი სიტყვებით გადმოცემა. დავალება საკმაოდ მოცულობითია და ამიტომ, კარგი იქნება მისი მცირე ჯგუფებში შესრულება.

   ბ. აქტივობის მიზანია გააერთიანოს მთლიანი ტექსტი. შემსწავლელებს მუშაობის პროცესში მხოლოდ **2-3** მუხლთან მოუწევთ შეხება. დაფაზე / ფორმატზე შეჯამებისას კი, მათ საშუალება მიეცემათ, მთლიან ტექსტს გაეცნონ.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გადაამოწმოს, რამდენად გაიგო მესამე დავალებაში მოცემული ტექსტი. მას საშუალება ეძლევა, რომ კიდევ ერთხელ გაიაზროს და გამოიყენოს ტექსტი.
5. მეხუთე აქტივობა ბლოკის ფინალური დავალებაა. მისი მიზანია, შემსწავლელები თავად აღმოჩნდნენ ჟურნალისტის როლში და დაწერონ ერთგვარი "სტატია" ეთიკის ნორმების დაცვით. ამ დავალებაში საინტერესო ისაა, რომ მიუხედავად ჯგუფური სამუშაოსი, ჯგუფებს ცალ-ცალკე კი არა, პირიქით, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით, წრიულ ფორმატში უწევთ მუშაობა.
6. სამუშაო რვეულში მოცემული მესამე აქტივობა შესაძლებელია, შემსწავლელებს საშინაო დავალებად მიეცეთ. ამ აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი კიდევ ერთხელ უნდა მიუბრუნდეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მუხლებს, გადახედოს, გაიზაროს, აირჩიოს თავისთვის ყველაზე საინტერესო და გამოთქვას თავისი აზრი მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

თავი IV

თავისუფალი დრო: დასვენება და გართობა

ბლოკი 1

როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?

1. **ა.** აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება თემის ირგვლივ. ამ დავალების უფრო ვრცელი ვარიანტი გვხვდება სამუშაო რვეულის პირველ ბლოკში (მეოთხე დავალება). ეს დავალება შემსწავლელებს სახლში შესასრულებლად ეძლევათ. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ინფორმაციის დახარისხება.

   ბ. აქტივობის შესრულების დროს ვარჯიშდება როგორც მოსმენის, აგრეთვე წერის უნარ-ჩვევა. მისი მიზანია, შემსწავლელმა მოსმენის დროს შეძლოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩანიშვნა.

   გ. აქტივობის მიზანია დისკუსიის უნარის გამომუშავება მიზნობრივ ენაზე, აზრის გამოსათქმელი ფრაზების გამოყენებით.

2. დავალების შესასრულებლად შემსწავლელს უწევს, რომ ხელახლა წაიკითხოს ტექსტი. აქტივობის მიზანია ორი სხვადახვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან შედარების უნარის გამომუშავება გლობალური კითხვის უნარის მეშვეობით. ამავე მიზანს ემსახურება შემსწავლელის რვეულის პირველი ბლოკის მესამე დავალება.

3. **ა.** აქტივობა სასურველია, შესრულდეს ფორუმში. შემსწავლელები დააფიქსირებენ თავიანთ აზრს მოცემ-ულ საკითხთან დაკავშირებით. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი წასაკითხი ტექსტისთვის.

   ბ. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ტექსტის დახმარებით შეძლოს აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება.

4. აქტივობის მიზანია შესაბამის გრამატიკულ მასალაზე მუშაობა (მეორე კავშირებითი და მეორე თურმეობითი).

5. **ა.** აქტივობა არის გრამატიკული მასალის განსამტკიცებელი.
   ბ. აქტივობის მიზანია წინა აქტივობებზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე შემსწავლელმა თავად ჩამოაყალიბოს გრამატიკული წესი.

6. შესაბამის გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში გრძელდება შემსწავლელის რვეულის მე-5 და მე-6 აქტივობებში.

7. შემსწავლელის რვეულის მე-7 აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი გამოიყენებს სასურველი და არამომხდარი მოქმედებების გამომხატველ ფრაზებს.

ბლოკი 2

დაკარგული თამაშები

1. **ა.** აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება, წინარე ცოდნის გააქტიურება და ძველი თამაშების გახსენება.

   ბ. აქტივობის მიზანი არის თამაშების იდენტიფიცირება, დასახელებების გაგება.

2. აქტივობის მიზანია ტექსტისთვის შემზადება და ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელი აღწერს მისთვის სასურველ ძველ თამაშს და დაასაბუთებს, რატომ აღარ არის აქტუალური.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და მონიშნავენ სწორ პასუხებს.
4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები უპასუხებენ, მოცემული წინადადებები სწორია თუ არასწორი.
5. **ა.** აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები აღწერენ ავტორის გეგმებს.

   ბ. დავალების მიზნია ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები ისაუბრებენ თავიანთი გეგმების შესახებ.

6. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება წიგნის მეექვსე აქტივობაში, რომელშიც შემსწავლელებმა უნდა აღწერონ ერთ-ერთი ძველებური თამაში.
7. მეშვიდე აქტივობა არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები გამართავენ დისკუსიას მივიწყებული და თანამედროვე თამაშების შესახებ.
8. რვეულის პირველი აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები დაწერენ, რომელი ძველი თამაში მოსწოთ.
9. რვეულის მესამე აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოისმენენ ვიდეოჩანაწერს და აღნიშნავენ სწორ პასუხს.
10. რვეულის მეოთხე **ა.** აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

    ბ. გათვალისწინებულია იმისთვის, რომ შემსწავლელებმა ივარჯიშონ წერის უნარ-ჩვევაზე და არგუმენტების მოყვანაზე.

ბლოკი 3

ტურისტული მომსახურება საქართველოში

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელებში აღძრას ინტერესი მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ასევე ააქტიურებს წინარე ცოდნას

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კურორტებია პოპულარული საქართველოში.

2. ეს აქტივობა არის მოსამზადებელი სამუშაო მომდევნო ტექსტის წასაკითხად. შემსწავლელებმა უნდა შეძლონ ვიდეოჩანაწერიდან ტურისტთა რაოდენობის ზრდის პროცენტული მაჩვენებლების გაგება. მომდევნო აქტივობაც (3) არის შესამზადებელი დავალება ტექსტის გაგებისთვის.
3. მე-4 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მომხმარებელთა კვლევის შედეგების ანალიზის სელექციური გაგება. შემსწავლელები ეცნობიან ტექსტს და გამოყოფენ ძირითად ტენდენციებს.
4. წიგნის მე-5 აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში, კერძოდ, შემსწავლელები აკვირდებიან მოცემულ სქემატურ მონაცემებს და საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა სურათს გვაძლევს დამსვენებელთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით.
5. წიგნის მე-6 **ა.** აქტივობის მიზანია ტექსტის წაკითხვისთვის შემზადება. შემსწავლელები თავიანთი ვარაუდით ასახელებენ იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ამა თუ იმ რეგიონში დამსვენებელთა მეტი რაოდენობაა, ვიდრე სხვებში.

   ბ. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები კითხულობენ კვლევას და ამოწმებენ **ა.** აქტივობაში გამოთქმულ მოსაზრებებს. **გ.** და **დ.** აქტივობები ემსახურება ტექსტის სელექციურ გაგებას, შემსწავლელები ტექსტში ეძებენ იმ ხელისშემშლელ მიზეზებს, რომელთა გამოც, სურვილის მიუხედავად, დამსვენებლები არ ჩადიან სვანეთში, რაჭასა და ქვემო ქართლში.
6. წიგნის მე-7 აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. კერძოდ, შემსწავლელები ინაწილებენ კვლევის მონაცემების სქემატურ აღწერილობებს და მათი მიხედვით ადგენენ ტექსტს. აქტივობა სრულდება მცირე ჯგუფებში.
7. სამუშაო რვეულის 1-ლი აქტივობის მიზანია გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, მეორე კავშირებითისა და მეორე თურმეობითის ფორმებზე.
8. სამუშაო რვეულის მე-2 აქტივობაც შემსწავლელს გრამატიკული მასალის ათვისებაში ეხმარება, კონკრეტულად კი, როგორ ჩასვავს სწორად ტექსტში მსგავსებისა და განსხვავების გამომხატველი კავშირები.
9. სამუშაო რვეულის მე-3 და მე-4 აქტივობები ხელს უწყობს წერის უნარ-ჩვევის განვითარებას.
10. რვეულის მე-5, მე-6 და მე-7 აქტივობების მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ამასთანავე, ისინი ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას და მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.

ბლოკი 4

ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტურიზმი?

1. აქტივობის მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს სხვების აზრის გაგება ჯგუფური / ინდივიდუალური ტურიზმის უპირატესობასთან დაკავშირებით. რვეულის პირველი აქტივობის მიზანია შემსწავლელებში აღძრას ინტერესი მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ის ააქტიურებს წინარე ცოდნას.
2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელმა უნდა დაწეროს, რატომ სარგებლობს ვიდეოს პერსონაჟი ტურისტული სააგენტოს მომსახურებით. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულში, რომელშიც შემსწავლელმა მოსმენილის მიხედვით უნდა დაწეროს თანამედროვე და მოდერნიზებული სისტემის შესახებ.
3. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება. ვიდეოჩანაწერის მიხედვით შემსწავლელი წერს, პერსონაჟისთვის როგორი ტურია უფრო შესაფერისი.

   სამუშაო რვეულში შემსწავლელი წერს, ვიდეოში შემოთავაზებული სერვისებიდან რომელია მისთვის მისაღები.
4. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება, არგუმენტების მოყვანა და დისკუსიის გამართვა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო რვეულში შემსწავლელი წერს, მისთვის რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული ტურიზმი.

თავი V

მუსიკა, სიმღერა, ცეკვა

ბლოკი 1

მუსიკოსი

1. **ა.** აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი თემისთვის.

   ბ. აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება. ამ დავალების შესრულებისას შემსწავლელი გაიხსენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: ჩასაბერი, სიმებიანი, კლავიშებიანი და სხვა, მსგავს თემატურ ლექსიკას.

2. აქტივობის მიზანია, ტექსტის გლობაური კითხვის უნარ-ჩვევის დახმარებით, შემსწავლელმა შეძლოს აზრის გამოთქმა მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელი კიდევ ერთხელ გადაიკითხავს ტექსტს და მასში მოძებნის ინფორმაციას მუსიკოსებზე. სელექციურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის პირველ და მეორე აქტივობებში.
4. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა, სიტყვაზე დაკვირვებითა და კონტექსტის დახმარებით უნდა შეძლოს სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მესამე და მეოთხე აქტივობებში.
5. აქტივობის მიზანია ტექსტის დეტალურად გაგება, ლექსიკაზე ვარჯიში და სიტყვების წარმოება ნასწავლი გრამატიკული ფენომენის დახმარებით.
6. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები კიდევ ერთხელ წაიკითხავენ ტექსტს. დეტალურად აღწერენ ავტორის დამოკიდებულებას მუსიკოსების მიმართ. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მეექვსე აქტივობაში.
7. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები იმუშავებენ ჯგუფურად და დაწერენ ამბის დასასრულს. რვეულის მეხუთე აქტივობაში კი შეძლებენ თავიანთი ვარაუდის გადამოწმებას.

ბლოკი 2

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი

1. აქტივობის მიზანია ინტერესის აღძვრა ვიდეოჩანაწერის მიმართ, წინარე ცოდნის აქტივაცია.
2. აქტივობის მიზანია ვიდეოჩანაწერის სელექციური მოსმენა, ანუ კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციის მოსმენა და წინა აქტივობაზე

უკვე პასუხის დაზუსტება. ამავე უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება შემსწავლელის რვეულის 1-ელ და მე-2 აქტივობებში.

3. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენა – ვიდეოჩანაწერში მნიშვნელოვანი საინფორმაციო ერთეულების გაგება. შესაბამისად, შემსწავლელი წინასწარ უნდა გაეცნოს ჩამოწერილ ფრაზებს და მათი სავარაუდო თანამიმდევრობა განსაზღვროს.
4. აქტივობის მიზანია მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება – ცალკეული წვრილი საინფორმაციო ერთეულების გაგება. ამავე მიზანს ემსახურება შემსწავლელის რვეულის მე-4 აქტივობა. აქ ემატება ლექსიკაზე ვარჯიშიც. ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ შემსწავლელმა, კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა შეძლოს სიტყვებისა და ფრაზების განმარტება.
5. აქტივობის მიზანია გრამატიკული ფენომენის დადგენა და გრამატიკული წესის თვითაღმოჩენით დადგენა შემდეგ ეტაპებად:

   ფენომენის შეგროვება, გაანალიზება, მსგავსი ფორმების მოძიება და დაჯგუფება, ა- და -დ აფიქსების შინაარსობრივი ფუნქციის გამოკვეთა.

ბლოკი 3

თანამედროვე ქართველი მუსიკოსები

წიგნი:

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გლობალურად გაიგოს ტექსტი და დაწეროს ტექსტის მთავარი აზრი ერთი წინადადებით. შემსწავლელი კითხულობს ტექსტს და ერთი წინადადებით წერს, რა აშფოთებს ირაკლი ჩარკვიანს.
2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გამოიყენოს დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის სტრატეგია, იპოვოს, გააანალიზოს და ლოგიკურად დაუკავშიროს ერთმანეთს ტექსტში მოცემული ფაქტები. შემსწავლელი კითხულობს ტექსტს, პოულობს ტექსტში დასმულ პრობლემას, იგებს რაში მდგომარეობს იგი, შემდეგ ლოგიკურად პოულობს ამ პრობმელის გადაჭრის გზებს, აანალიზებს მას და წერს დავალებაში მითითებულ ადგილას.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს რესპონდენტის პოზიცია, შეხედულება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. შემსწავლელი, ტექსტიდან გამომდინარე, წერს ირაკლი ჩარკვიანის აზრსა და შეხედელებას მუსიკასთან დაკავშირებით.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გამოიყენოს დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის სტრატეგია და თავისი სიტყვებით შეძლოს ფარზების განმარტება მათი შინაარსიდან გამომდინარე. ამ დავალების ერთ-

ერთი მიზანი ასევე არის ახალი ლექსიკური ერთეულების გაგება. შემსწავლელი კითხულობს ტექსტს და თავისი სიტყვებით განმარტავს ცალკეულ ფრაზებს.

5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს რესპონდენტის აზრი, ვის მიმართავს ამ ფრაზის ავტორი და რას გულისხმობს იგი ამ სიტყვებში. შემსწავლელი კითხულობს ირაკლი ჩარკვიანის ფრაზას და წერს თავისი სიტყვებით, რას გულისხმობს ირაკლი ჩარკვიანი მოცემულ ფრაზაში.
6. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ლაპარაკის უნარ-ჩვევის გამოყენება, დისკუსიის დროს, შესაბამისი ფრაზების გამოყენებით, თავისი აზრის გამოთქმა და არგუმენტირებულად დადასტურება. ლაპარაკის უნარ-ჩვევის განმავითარებელი დავალება: შემსწავლელები იყოფიან ორ ჯგუფად და გამართავენ დისკუსიას დავალებაში მოცემულ ორ საკითხთან (რა არის მუსიკის დანიშნულება? მუსიკა, როგორც ხელოვნება თუ მუსიკა, როგორც ადამინის მდგომარეობის გამოხატვის საშუალება) დაკავშირებით. გამოიყენებენ წინა დავალებებში შეგროვებულ არგუმენტებს და დისკუსიისთვის საჭირო ფრაზებს.

რვეული:

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს კითხვის უნარ-ჩვევის სტარტეგიის გამოყენება. განასხვავოს ერთმანეთისგან მუსიკალური მიმდინარეობები. შემსწავლელი კითხულობს ტექსტის იმ ნაწილს, სადაც წერია ეთნოგრაფიული მუსიკისა და სოციალურად აქტიური მუსიკის შესახებ, შემდეგ წერს რა განსხვავებაა მათ შორის.
2. **ა.** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს აზრის გამოთქმა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. **ბ.** აქტივობის მიზანია შემსწავლელმა საკუთარ შეხედულებასთან ერთად შეძლოს სხვისი აზრის გაზიარება ან უარყოფა. შემსწავლელი გამოთქვამს თავის აზრს, თუ როგორ მუსიკას ანიჭებს უპირატესობას და შემდეგ წერს, რატომ იზიარებს, ან არ იზიარებს ირაკლი ჩარკვიანის მოსაზრებას.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა იფიქროს და წარმოიდგინოს თავი რაიმე ამპლუაში, დააფიქსიროს თავისი შეხედულება და დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. შემსწავლელი თავს წარმოიდგენს მუსიკოსის ამპლუაში და წერს თავის გზავნილს მსმენელებისათვის.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ავტორის პოზიციისა და დამოკიდებულების გაგება ვინმეს ან რამის მიმართ. შემსწავლელი ტექსტიდან გამომდინარე წერს ავტორის დამოკიდებულებას ირაკლი ჩარკვიანისა და მისი შემოქმედებისადმი.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს და მოცემულ ცხრილში დააჯგუფოს დისკუსიისთვის საჭირო ფრაზები მათი შინაარსიდან გამომდინარე.

ბლოკი 4

სუხიშვილები

(ბლოკის მიზანი: შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სპეციალური სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის/ კონკრეტული პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად)

1. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება, თემისთვის შემზადება. შემსწავლელი ეცნობა ტექსტს და არკვევს, ვინ არიან სუხიშვილები და რატომ ჰქვია ანსამბლს ეს სახელი.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი პოულობს ტექსტის იმ ნაწილს, რომელშიც სუხიშვილებთან დაკავშირებული არიან მსოფლიოში კულტურის სფეროს პოპულარული წარმომადგენლები.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელი კონტექსტის მიხედვით წერს მოცემული წინადადებების განმარტებას თავისი სიტყვებით. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულის მეორე დავალებაში. სამუშაო რვეულის მესამე დავალების აქტივობის მიზანია გრამატიკულ ერთეულებზე ვარჯიში, კერძოდ კავშირების სწორად გამოყენება. მოცემულია წინადადებები, რომელიც შემსწავლელმა უნდა დაწეროს კავშირის გარეშე.
4. აქტივობა ემსახურება ლექსიკაზე ვარჯიშს. გრაფაში მოცემულია ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აზრობრივად უნდა დაუკავშირონ ერთმანეთს.
5. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი წერს არგუმენტირებულ ესეს, როგორ განვითარდებოდა ქართული ცეკვა, რომ არა სუხიშვილები. მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულის მე-**5** აქტივობაში. შემსწავლელი წერს, კონკრეტულ თემაზე დავალებაში მოცემული ფრაზების გამოყენებით.

თავი VI

საქართველო და მისი ეთნოსები

ბლოკი 1

ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსები საქართველოში

1. **ა.** აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი ბლოკში მოცემულ თემაზე სამუშაოდ.

   ბ. აქტივობის მიზანია ორი სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შედარება. შემსწავლელმა უნდა გადაამოწმოს, რამდენად ემთხვევა თავის მიერ მოძიებული მასალა ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.

2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოკვეთა. ამ დავალების შესრულებისას მას უვითარდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევა. სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განსავითარებელია სამუშაო რვეულის პირველი ბლოკის პირველ და მეორე დავალებებში.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა იპოვოს ტექსტში კონკრეტული ინფორმაცია. ესეც გათვლილია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე. რვეულის მესამე აქტივობა ერთდროულად ავიტარებსდეტალური კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს. ერთი მხრივ, შემსწავლელი განმარტავს კონკრეტულ ფრაზებს ტექსტიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, მათი გამოყენებით შეადგინოს წინადადებები.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ტექსტიდან იმ ინფორმაციის გაგება, რომელიც ზუსტი, პირდაპირი ფრაზით არაა მოცემული. რვეულის მეოთხე აქტივობა ავითარებს წერის უნარ-ჩვევას.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს აზრის გამოთქმა თემასთან დაკავშირებით. აგრეთვე ეს დავალება ამზადებს შემსწავლელს რვეულის პირველ ბლოკში მოცემული დავალებებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ენის ცოდნას უკავშირდება.

ბლოკი 2

გერმანელები საქართველოში

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი შეამზადოს მოცემული თემისთვის და გაუაქტიუროს წინარე ცოდნა. შემსწავლელები ჩამოწერენ ეთნოსების მიგრაციის მიზეზებს.
2. მეორე და მესამე აქტივობების მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის 1-ელ და მე-2 აქტივობებში.

3. მეოთხე აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მე-3 და მე-4 აქტივობებში.
4. მეხუთე აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს ერთ-ერთი გრამატიკული ფენომენი. კერძოდ, გაარკვიოს "მიერ" თანდებული რომელ ბრუნვას მოითხოვს სავარჯიშოში მოცემულ წინადადებებში.
5. რვეულის მეხუთე აქტივობა არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა, რომლის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები დაწერენ, როგორ განვითარდებოდა საქართველო გერმანელი კოლონისტების გარეშე.

ბლოკი 3

ქართველი ებრაელები

1. წიგნის 1-ლი აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება. შემსწავლელები მუშაობენ წყვილებში და ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის ებრაელებს იცნობენ და რითია გამორჩეული მათი ცხოვრება იმ ქვეყანაში.
2. წიგნის მე-2 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს წაკითხული ტექსტისა და მოსმენილი ვიდეოჩანაწერის მიხედვით მოკლედ შეჯამება იმისა, თუ რითი განსხვავდებოდა ქართველი ებრაელების ცხოვრება სხვა ქვეყნებში მცხოვრებთა ყოფისგან. შემსწავლელები კითხულობენ ტექსტს და მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე წერენ განსვავებას ქართველ და ევროპელ ებრაელებს შორის.
3. შემდეგი აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს ტექსტისა და ვიდეოჩანაწერის სელექციური გაგება, კერძოდ, შემსწავლელები კითხულობენ ტექსტს და უსმენენ ვიდეოჩანაწერს. შემდეგ ამოწერენ იმ საერთო ნიშნებს, რომლებიც გამოიკვეთება ქართულ და ებრაულ ტრადიციებს შორის.
4. რვეულის მე-2 დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს რესპონდენტის აზრის გაგება და თავისი სიტყვებით გადმოცემა.
5. რვეულის მე-3 დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოსმენილი ინფორმაციიდან გამომდინარე ორო ობიექტის შედარება და მათ შორის კავშირის დანახვა. შემსწავლელი უსმენს ვიდეოჩანაწერს და წერს კავშირს ბროწეულსა და თორას შორის.
6. რვეულის მე-4 დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ორაზროვანი ფრაზების გაგება. შემსწავლელი კონტექსტიდან გამომდინარე განმარტავს ფარზას თავისი სიტყვებით არა პირდაპირი, არამედ მისი გადატანითი მნიშვნელობით.

ბლოკი 4

მულტიკულტურალიზმი

1. დავალების მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება მულტიკულტურალიზმის თემასთან დაკავშირებით. ასევე წინარე ცოდნის აქტივაცია ტერმინის განმარტების ფორმაზე.
2. დავალების მიზანია სელექციური გაგება – ტექსტის წაკითხვა იმ მიზნით, რომ გადაამოწმოს შემსწავლელმა, რამდენად ემთხვევა მულტიკულტურალიზმის მისეული განმარტება ტექსტის ვერსიას. გლობალური გაგების ფაზა გავლილია პირველი დავალების მეშვეობით: შემსწავლელმა ტექსტის წაკითხვამდეც იცის, რომ ტექსტი მულტიკულტურალიზმის თემას ეხება.
3. აქტივობის მიზანია თემის გავრცობა – მულტიკულტურალიზმსა და ინტერკულტურალიზმს შორის განსხვავების დადგენა. დავალება ასევე ემსახურება ტერმინის განმარტების მოძიებას ვრცელ ტექსტში, ანუ შემსწავლელში სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას.
4. აქტივობა არგუმენტირებული მსჯელობის და დისკუსიის უნარის განსავითარებელია.
5. დავალების მიზანია გრამატიკული ფენომენის შინაარსობრივი ფუნქციის დადგენა თვითაღმოჩენის გზით შემდეგ ეტაპებად: წინარე ცოდნის აქტივაცია მოცემულ ფენომენზე, კონტექსტის მიხედვით ვარაუდის გამოთქმა მოცემულ ფენომენზე, შესასწავლი ფენომენის შედარება ნაცნობ გრამატიკულ ფენომენთან, წესის დადგენა და მისი გამოყენება.
6. მე-**6** და მე-**7** აქტივობების მიზანია გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში.
7. რვეულის აქტივობების მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა უნდა შეძლოს არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთოს თავისი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

www.geofl.ge